ცვლილება ნომერი ექვსი

"ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის" ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 12 აგვისტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში

USAID-ის დახმარების შესახებ ხელშეკრულება #AAG-114-G-10-002

2015 წლის24 აგვისტო

ცვლილება ნომერი ექვსი "ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის" ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ("USAID") მეშვეობით და საქართველოს, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში "გრანტის მიმღები") შორის 2010 წლის 12 აგვისტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში "ხელშეკრულება").

ვინაიდან, გრანტის მიმღებმა და USAID-მა (შემდგომში მხარეები) 2010 წლის 12 აგვისტოს გააფორმეს დახმარების შესახებ ხელშეკრულება საქართველოში ეკონომიკური ზრდის და ჰუმანიტარული დახმარების მიზნით, როგორც ეს აღწერილია ხელშეკრულების დანართ 1-ში ("განვრცობილი აღწერა");

ვინაიდან, ხელშეკრულების ფარლებში გრანტის მიმღები და USAID იწყებენ საქართველოში ოჯახური ძალადობის შემცირების მიზნით საქმიანობას, სამწლიანი საქმიანობა განხორციელდება „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" მიერ; და

ვინაიდან, USAID და გრანტის მიმღები გამოთქვამენ სურვილს, რომ შეიტანონ ხელშეკრულებაში ცვლილება იმ მიზნით, რომ გაგრძელდეს დასრულების თარიღი 2018 წლის 30 სექტემბრამდე, რათა წარმოდგენილი იქნას დამატებითი დრო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა აქტივობის დასასრულებლად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

> მუხლში 4 (ა), თარიღი „30 სექტემბერი, 2017" წაშლილია მთლიანად და შეცვლილია შემდეგი თარიღით „30 სექტემბერი, 2018".

აღნიშნულის დასტურად, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით ხელს აწერენ წინამდებარე ცვლილება ნომერ ექვსსამ ცვლილების დასაწყისში მითითებულ თარიღში:

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველო:

სახელი, გვარი: Thomas R. Morris

სახელი, გვარი: ნოდარ ხადური

თანამდებობა:Acting Mission Director

თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი

USAID/Caucasus

"ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის" ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 12 აგვისტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულების ცვლილება ნომერი ექვსი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმნის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 0214/1-15
თარიღი/DATE 27.03.2015
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia